ერთი სიტყვით, ერთობ ფექტურია გრუნტის, ლითონს, ბეტონისა და აგურის კონსტრუქციების ასაფეთქებლად. შემთხვევით არ აურჩევიათ იგი სხვა ასაფეთქებელი ნიუთიურებების შუფასების სტანდარტად.

მუხტის აფეთქების სიმძლავრე მობ ტროტილის ეკვივალენტით იზომება. იგი დღესაც ლიდერია. უნიკალურად მძლავრი ჰექსოგენიც კი ვერაჯერობით მეორე ადგილზეა.

არაიენ იცის, რამდენი ცოდვის ჩადენა შეუძლო ჰექსოგენს იმის გამო, რომ ქიმიური შემადგენლობით სამკურნალო წამალ უროტროპის ენათესაუბოდა, მაგრამ ესკულაპები დროზე მიხვდნენ, მისი სახით საქმე ძლიერ შხამიან რომ ჰქონდათ.

მხოლოდ 1920 წელს გახდა ცნობილი, რომ ჰექსოგენი ძლიერი ასაფეთქებელი ნიუთიურება იყო, რომელიც დეტონაციის სიჩქარით (8750 მ/წმ) TNT-სა და სხვა ნიუთიურებებს მნიშვნელოვნად ჯობდა.

ჩვეულებრივი მეთოდებით მისი ბრინჯტულობის გამოთვლა მამინ ვერ შეუძლეს, რადგან არ იყო შესაფერისი პირობები.

მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოების მასშტაბით იგი პირველობას

მხოლოდ TNT-ს უთმობდა. ჰექსოგენი დღესაც შედის მრავალი ასაფეთქებელი ნიუთიურების შემადგენლობაში და გამოიყენება არა მარტო კომუნიკაციურ ჭურვებსა და ავტომატური ქვემტების ტყვიებში, არამედ სადოფერისო აქტებისთვისაც.

დღეს ასაფეთქებელ ნიუთიურებათა შორის ყურადსაღებია კომუნიკაციური ჭურვებში გამოყენებული TNT-სთან შენადნობი ოქტოგენი, რომლის დეტონაციის სიჩქარე 9120 მ/წმ-ს უდრის.

ოქტოგენი ნიტროვლიცერინის ახლო ნათესაია. არც ისე მღვრადი, მაგრამ სამაგიეროდ ერთობ მგრძობიარეა, რომელსაც საუკეთესო მაინიცირებელი თვისებები აქვს სხვა ნიუთიურებების დეტონაციისას. ამიტომ მას იყენებენ კაფსულ-დეტონატორებში, მადეტონირებელ ზონრებსა და მცირე ზომის მძლავრ ჭურვებში.

ალხანიშნავა აგრეთვე ტეტროლი, რომელსაც იყენებენ კაფსულ-დეტონატორებში, შუალედურ დეტონატორებსა და ავტომატური ქვემტების ჭურვებში.

და ბოლოს, პერსპექტიულ ასაფეთქებელ ნიუთიურებად ითვლება ბისტრინიტროთილმარდოენა, რომელიც სიძლიერით (დეტონაციის სიჩქარე 8000 მეტრი/წამში) ჰექსოგენთან ახლოს დგას.

(დასასრული შემდგე ნომერში)



411 მილიონიანი F-22-ის ნაკომპონენტის დასასრული

სოფლიოთა ყველაზე ძვირი მე-5 თაობის გამანადგურავი F-22 Raptor-ის ნაკომპონენტის შეწყვედა 195-ე თითოფრინავის გამოშვების შემდეგ

2011 წლის 13 დეკემბერს აშშ-ში ჯორჯიის შტატში მდებარე Lockheed Martin-ის საავიაციო ქარხნიდან ბოლო, 195-ე „რაპტორი“ გამოავლეს.

ამით დამთავრდა მესამე თაობის პირველი გამანადგურებელი თვითმფრინავის შექმნისა და წარმოების ეპოპეა. 1986 წელს დაწყებული კონკურსი მესამე თაობის გამანადგურებლის შექმნაზე, რომელსაც ლეგენდარული F-15 Eagle უნდა ჩაენაცვლებინა, 1991 წელს „ლოქჰიდ მარტინმა“ თავისი YF-22-ით „ნორტროპ“ — „მაკლენდელ დუგლასის“ YF-23-ს მოუგო.

F-22 Raptor-ი პირველად პაერში 1997 წლის 7 სექტემბერს აიჭრა, თუმცა მისი სერიალი წარმოება მხოლოდ 2001 წელს დაიწყო, ხოლო ორი წლის შემდეგ „რაპტორები“ უკვე საავიაციო ნაწილებშიც გამოჩნდნენ.

ამჟამად აშშ-ის სამხედრო-საკავშირეო ძალების განკარგულებაში 195-ე გამოშვებული „რაპტორიდან“ 187-ია, ოთხმა კატასტროფა განიცადა.

F-22 დღეისათვის მსოფლიოში ერთადერთი, მესამე თაობის გამანადგურებელი თვითმფრინავია, რადგან რუსული „სუხოის“ T-50 და ჩინური J-20 ჯერ მხოლოდ ფრენას სწავლობენ.

„რაპტორში“ გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიები, რის გამოც თითო სახლს ის უახლოესი პარტიზანობისთვისაც კი არ მიუყვება, მათ შორის — იაპონიისთვისაც. „რაპტორი“ შექმედებს პრინციპით „პირველმა აღმოაჩინე — პირველმა ესროლე“

— პირველმა გაანადგურე“. მართლაც „რაპტორზე“ დაყენებულ აქტიურ ფაზირებულანტენიან საბორტე რადიოლოკატორს მიწინააღმდეგის გამანადგურებლის აღმოჩენა 300 კმ-იდან, ფრთოსანი რაკეტისა — 150 კმ-იდან, ხოლო სახმელეთო საბინის კი 70 კმ-ის სიშორიდან შეუძლია, მაშინ, როდესაც მიწინააღმდეგე მას შორი მანძილიდან ვერ აფიქსირებს, რადგან „რაპტორი“ აწყობილია „სტელსის“ ტექნოლოგიით, ხოლო რაკეტები კი ფიზიკურად უხილავია.

თუ დაუფრებთ პენტაგონელ გენერალს და გახვიადებულად არ ჩაეთვლით მათ განცხადებას, ერთ-ერთი საკავშირეო სწავლების დროს 12-მა ცალმა F-22-მა საკავშირეო ბრძოლებში საერაული მიწინააღმდეგის 144 გამანადგურებელი „ჩამოაგო“...

შეუდარებელი ტექნიკურ-ტექნიკური მონაცემების მიღება დიდ დანახარჯსაც მოითხოვს, რის გამოც „რაპტორზე“ ამბობენ, რომ მისი ფასი თავისი წონის ოქროს ღირებულებას უსწორდება.

მართლაც, ცარიელი F-22 იწონის 19,7 ტონას და მისი სრული ღირებულება 2006 წლისთვის 350 მლნ დოლარი ანუ დაახლოებით მიღწევე იყო, რაც 20 ტონა სუფთა ოქროს

საერთოდ, 2008 წლის მონაცემებით, ერთი F-22-ის თვითღირებულება იყო 146,2 მლნ დოლარი, თუმცა, ვგეგმა სხვა ხარჯის დამატებით (მათ შორის — საკონსტრუქტორლო სამუშაოების) სრული ფასი 350 მლნ დოლარს აღწევდა.

2010 წელს აშშ-ის მთავარი საკონტროლო სამმართველოს მონაცემებით, ერთი F-22-ის სრულმა ფასმა 411,7 მლნ დოლარს მიაღწია, საერაულიდ, იმიტომ, რომ შექცვრდა გამოსაშვები „რაპტორების“ რიცხვი.

მიუხედავად ასტრონომიული ფასისა, F-22 მაინც არ არის ყველაზე ძვირი საბრძოლო თვითმფრინავი. პირველობას არავის უთმობს ასევე „სტელსის“ ტექნოლოგიით აწყობილი სტრატეგიული ბომბდამშენი B-2 Spirit-ი. ერთი „სპირიტის“ ფასი 1,157 მლნ დოლარია, ხოლო კონსტრუქციებზე გაწეული ხარჯის ჩათვლით ეს თანხა ერთ B-2-ზე მართლაც წარმოუდგენელ ციფრს — 2,1 მლნ დოლარს (!) აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ F-22 Raptor-ების წარმოება შეწყვედა, ქარხანა იტყობს ვგეგმა ტექნიკურ სასუკეობას, რათა დაუყოვნებლივ განახლოს „რაპტორების“ სერიალი წარმოება, თუკი პენტაგონი დაუკვეთს.

ირაკლი ალაღაშვილი



კაბარღები XX სუენის ბოლო სავაჭრო რეჟიმში შრი-ლანკის სამოქალაქო ომი

ინდონეზიის ნახევარკუნძულის სამხრეთით მდებარე კუნძულოვან სახელმწიფო შრი-ლანკას კონტინენტთან პოლკის სრუტე გამოყოფს.

70-იანი წლების დასაწყისში შრი-ლანკის ჩრდილო ნაწილში, ტამილებით დასახლებულ რაიონებში, ჩამოყალიბდა სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფო ტამილ-ილამის შექმნის მიზნით გამოვიდა.

მიზნის მისაღწევად 1983 წელს სეპარატისტებმა შეიარაღებული ორგანიზაცია „ტამილ-ილამის გათავისუფლების ეფფხეები“ (TOTT) შექმნეს და შრი-ლანკა დიდი ხნით შიდა დაპირისპირებამ მოიცვა.

საჭირო შეიარაღებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა შესაძენად სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ტამილებში ფული გროვდებოდა და წელიწადში ეს თანხა დაახლოებით 120-300 მლნ დოლარს აღწევდა.

ომის საწყის ეტაპზე „ეფფხეებმა“ მუხობელ ინდოეთში ტამილებით დასახლებულ ტამილნადუს შტატის სანაპირო ზოლში უამრავი ბაზა შექმნეს, საიდანაც თავიანთი მცურავი საშუალებებით, ძირითადად, თევზჭერი პატრალ გემებით იარაღს ეზიდებოდნენ და მებრძოლები შემოჰყავდათ.

ვიწრო პოლკის სრუტე, მრავალრიცხოვანი პატარ-პატარა კუნძულები, შრი-ლანკის ფლოტის მოქმედებას ურთოდება და ამას ავიაციის უქონლობაც ემატებოდა.

იმ პერიოდის სამთავრობო ძალების

ტაქტიკა ასეთი იყო: ასე თუ ისე, კარგი რადარების მქონე ხომალდები ერთმანეთისგან 5-10 მილის დაშორებით დგებოდნენ და პოლკის სრუტეს აკონტროლებდნენ, ხოლო საეჭვო სამიზნის აღმოჩენისთანავე მასზე სწრაფვაგალი კატარალები გაჰყავდათ.

ამ ტაქტიკამ კონტრაბანდით დაკავებული თევზჭერ გემებთან გაპარვითა, მაგრამ მსუბუქკორპუსიან და სწრაფ კატარალებთან ბრძოლაში კი არაუეფექტური გამოდგა.

1988 წელს ინდოეთის უშიშროების ძალებმა ტამილნადუს შტატში სპეც-ოპერაციები ჩაატარეს და ტამილების ყველა ბაზა გაანადგურეს, რის გამოც „ეფფხეები“ ბირმამში გადაბარდნენ.

შორეული ბირმიდან პატარა კატარალებით მომარაგების ორგანიზება სარისკო და შეუძლებელი აღმოჩნდა და საზღვაო-სატვირთო გემებს საჭიროებდა.

მოკლე დროში სატვირთო ფლოტიც ჩამოყალიბდა და ის ათამდე გემს ითვლიდა.

სატვირთო ფლოტი მუტწილად ჩვეულებრივი გადაზიდვებით იყო დაკავებული, მაგრამ დროდადრო შრი-ლანკისკენ „ეფფხეებისთვის“ აუცილებელ ტვირთს (იარაღს, სწავებს, სამედიცინო აპარატურას, მედიკამენტებს, საკვებს და ა.შ.) ეზიდებოდა.

მომარაგების ახალი სქემა განსხვავებული იყო: სატვირთო გემი კუნძულის სანაპიროდან 50 მილის დაშორებით ღია ზღვაში ჩერდებოდა, სადაც სატვირთო კატარალები ზედებოდნენ.



შრი-ლანკის რესპუბლიკა

ზღვაში გადმოტვირთვა რთული და სახიფათო პროცესია, თანაც შესწავლილი ტვირთამწიფის კატარალებს ყველაზე დიდი — ნაღმსატვირთებისა და ზალკური ცეცხლის რეაქტიული კომპაქტური სისტემების გადატანა შეუძლია.

სანაპიროსკენ ტვირთთან კატარალებს ყოველთვის საბრძოლო და ფეთქებადი კატარალები მიაცილებდნენ, ხოლო სამთავრობო ფლოტის გამოჩენისთანავე ტვირთის გადასარჩენად (სახმელეთო ოპერაციები მუტწილად შემოტანილ საშუალებებზე იყო და-



„ზღვის შავი ვეფხეების“ ქვედანაყოფის ფოტოებად კატარღებზე ტამილელი ქალები მსახურობდნენ



მოკიდებული) საბრძოლო კატარღები მთავარ დარტყმას თავზე იღებდნენ.

„ვეფხეების“ ზღვაზე ვითარების შეცვლას „კამიკაძე“ ფოტოებად კატარღებით დაკომპლექტებული „ზღვის შავი ვეფხეების“ ქვედანაყოფით შეცადნენ.

ფოტოებად კატარღა პრაქტიკულად მართავდი ტორპედო იყო და მოქმედებაში დისტანცირებად ან დაჯახებით მოდიოდა, ხოლო აფეთქება ხშირად სამიზნეს ანადგურებდა.

საზღვაო ბრძოლებში „ვეფხეები“ მიწინააღმდეგეს არ ეუბებოდნენ, უტყვევდნენ და დანაკარგის მოუხდლავდნენ, „კამიკაძეების“ კატარღებს გზას უხსნიდნენ.

ზოგიერთ შემთხვევაში ერთდროულად 20-25 საბრძოლო და 5-6 თვითმკვლელი კატარღა მონაწილეობდა და ამგვარი მასიური თავდასხმა უმძღველოდ იშვიათად თუ მთავრდებოდა.

შესაბამისად, დიდი იყო დანაკარგიც, რომლის შესახებდა „ვეფხეები“ კატარღებს სხვადასხვა ქვეყანაში ფილმდებდნენ და საკუთარ სახელოსწიებშიც კუსტარულად აზნაფებდნენ.

მთლიერ ძრავების ხარჯზე კატარღები საშუალოდ 30-50 კანონით დაცურავდნენ. ეკიპაჟი 10-15 კაციცხან შედგებოდა და ყველა ჩაფხუტით, მაშველი ფილმდითა და ცეცხლსასროლი იარაღით იყო ეკიპირებული.

კატარღების პატარა სიგრძე (თითოეული 15 მეტრს არ აღემატებოდა) და წონა ავტომობილებით ტრანსპორტირებასაც აადვილებდა, რომლის საჭიროება ბაზირების ადგილის შეცვლისა და სამთავრობო აჯიაციის თავდასხმების დროს დგებოდა.

„ვეფხეების“ ფლოტის შეიარაღებაში შედიოდა: 107 მმ-იანი უმართავი რაკეტების გამშვეები დანადგარები (ჩინური ტიპი „63“ ან მისი ჩრდილოკორეული ვერსია), წვრილკალიბრიანი ავტომატები, 40 მმ-იანი ვუმპარსატორცნები, ტყვიამურქვეყვები, ტანკსწინააღმდეგო ზელის ვუმპარსატორცნები და სხვ.

შრუაღწლიან საზღვაო იშში „ვეფხეებმა“ საზღვაო დესანტი რამდენჯერმე გადასხეს, ხოლო 2000 წლის დასწივისში ჯაფინის ნახევარკუნძულზე სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო ბაზის ელფანტ პასისთვის დაწყებულ ბრძოლებში სხვადასხვა სახის მცურავი საშუალების გამოყენებით 1500 კაცის დესანტირება შეძლეს.

ამ ბრძოლებში „კატარღა-კამიკაძეებმა“ სამთავრობო ძალების ერთი

„ფორა“ ჩაძირეს, ხოლო მეორე კი ხმელეთიდან ნაალაფარი ტანკის ზუსტი ცეცხლის მსხვერპლი გახდა.

„ვეფხეების“ კატარღები არც სამთავრობო ძალების სატრანსპორტო გემებზე თავდასხმებს ერადგობდნენ.

2001 წლის 14 სექტემბერს შუუტის ტრანსპორტს, რომლის ბორტზეც 1300 სამხედრო იყო და 2 საბრძოლო კატარღა მიაცილებდა.

შრი-ლანკელი მეზღვაურები წინააღმდეგობას იმ დრომდე უწყევდნენ, ვიდრე შეუღღმფრენები არ მიეშველენ. სეპარატისტთა ფლოტი მეკობრეობასაც არ თავილებდა და კუნძულის მახლობლად სხვადასხვა ქვეყნის დროშით მიცურავ საუჭრო გემებს ძარცვავდა.

ეკიპაჟს, მგზავრებსა და ტვირის გამოსასყიდის მისაღებად იყენებდნენ, ხოლო რამდენიმე გემი ტვირთთან-ეკიპაჟთანად უკეკლოდ გაქრა.

ტამილების წინააღმდეგობას დიდი დარტყმა 2004 წლის ცუნამმა მიაყენა, — უპარავი კატარღა ეკიპაჟებიანად ოფენემ შთაინქა.

„ვეფხეების“ ტაქტიკას სამთავრობო ფლოტი კარგა ხანს ვერაფერს უხერხებდა და დანაკარგიც მატულობდა, რომლის შესახებდა შრი-ლანკის მთავრობა სხვადასხვა ქვეყანაში საბრძოლო



ტამილელთა თვითნაკეთი ფოტოებად კატარღები

ზომადებსა და დიდი წყალწვევის კატარღებთან ერთად 100 ტონამდე წყალწვევის კატარღებსაც ვიდულობდა.

მათ შორის იყო ისრაელში აგებული სხვადასხვა მოფიკაციის Super Dvora (წყალწვევა 54-66 ტ) და Shal-dag-ი (წყალწვევა 58 ტ), ინგლისური Chevron-ი (წყალწვევა 22 ტ), სამხრეთკორეული Killer-ი (წყალწვევა 56 ტ), ამერიკული Trinity Marine (წყალწვევა 68 ტ) და სხვ.

თავადაც შრი-ლანკის დელაქალაქ კოლომბოს ვერფზე კატარღების წარმოების დაწვება მოხერხდა და ფლოტმა შეიძატა: Colombo-ს (წყალწვევა 56 ტ), Simonneau-ს (წყალწვევა 28 ტ), Inshore-ს (წყალწვევა 3-10 ტ) და სხვა ტიპის პატარა კატარღები.

ეს კატარღები მალად სიჭკარეებს (30-50 კეანბი) აუთარებდა და შეიარაღებაც მრავალფეროვანი ჰქონდათ 25 მმ-იანი და 20 მმ-იანი პეტრომატური ქვემოები, 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეკევეები, 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნები და სხვ.

საზღვო მოქმედებებში გარდატეხა მას შემდეგ დადგა, რაც შრი-ლანკის ფლოტი „ვეფხუების“ მსგავსად პატარა კატარღების მასობრივ გამოყენებაზე გადავიდა.

დაახლოებით 3 წელიწადში კოლომბოს ვერფზე 150-ზე მეტი კატარღა დაშხადა, საიდანაც 100-ზე მეტის სიგრძე 7 მეტრს არ აღემატებოდა.

იაპონური წარმოების 150-250-ცხ. ძალიანი მრავები მაქსიმალურ 50 კეანბს აუთარებდა, ხოლო ეკიპაჟები, როგორც წესი, მსუბუქი იარაღით აღჭურვილი 4-6 მუხღვაურისგან შედგებოდა.

ყველაზე ვეფხურად კატარღები სახაპროსთან ახლომდებარე ზოლში მოქმედებდნენ.

სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში თევზჭერილი 20-30 კატარღა დიდი ძალა იყო, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში რაოდენობის სწრაფად გაზრდაც სირთულეს არ წარმოადგენდა.



კოლომბოს ვერფზე დაშხადებული სამთავრობო ფლოტის კატარღა

ამის შემდეგ საზღვო შეტაკებებმა ხანმოკლე ხასიათი მიიღო და როგორც წესი, „ვეფხუების“ მარცხით მთავრდებოდა.

შრი-ლანკის ომში არცთუ პატარა მნიშვნელობა „ვეფხუების“ სატყვირო ფლოტის განადგურებამაც ითამაშა. რამდენიმე გემის დაკავება მოხერხდა, ხოლო სხვების ეკიპაჟებმა გემთან ერთად თავის აფეთქება ამჯობინეს.

2009 წელს სამთავრობო ჯარებმა შეძლეს სეპარატისტული მოძრაობა „თამილ ილამის“ შეიარაღებულ ფორმირებათა განადგურება და ამით ხანგრძლივ შიდა ომს წერტილი დაესვა. თუმცა, ეს გამარჯვება სამხედრო-საზღვო ძალების სამ ათეულამდე სხვადასხვა მცურავი საშუალების დაკარგვის ფასად დაუჯდა.

თევზი ჩაჩანძი



ტამილელი „ვეფხუების“ ფლოტის სარდალი პოლკოვნიკი სოსოა

ფლოტის „დეორას“ ტიპის საბრძოლო კატარღა ჩაიძრეს;

1994 წლის 16 აგვისტოს „ზღვის ლიკაპრადების“ წყალქვეშა მებრძოლებმა კანკესანტურაის პორტში შრი-ლანკის ფლოტის მომარაგების გემი და ბუქსირი ჩაიძრეს;

1994 წლის 20 სექტემბერს კი სამთავრობო ფლოტის ყველაზე დიდი საბრძოლო კატარღა P602 Sagawardana (წყალწვევა 330 ტ) ჩაიძრეს.

ეკიპაჟის დიდი ნაწილი დაიღუპა, ხოლო მეთაური ტყვედ ჩავარდა; საინტერესო შემთხვევა მოხდა 1995 წლის 28 აგვისტოს, როცა „ვეფხუებმა“ ჯაფინის სახაპროსთან ბორანი Irish Mona დააკავეს. ინციდენტის ადგილზე სამთავრობო ძალების „დეორას“ ტიპის ორი კატარღა ბორანს მოუახლოვდა. „ვეფხუებმა“ არ დააიფუნეს და უკუბარსატყორცნებით ორჯერ ჩაიძრეს.

საზღვარი ომის ზომიერად მაჩვენებელი
კატარღა-კამიკაძეები სამთავრობო ფლოტს პირველად 1990 წლის 10 ივლისს დაესხნენ თავს და დამხმარე გემი P715 Edithara დაზიანეს;
1991 წლის 4 მაისს კი კატარღა-კამიკაძეებმა დამხმარე გემი P714 Abitha (წყალწვევა 2700 ტონა) ჩაიძრეს;
1993 წლის აგვისტოში საზღვო ბრძოლისას „ვეფხუებმა“ სამთავრობო

ჰაროლდ II

1020-1066



ქრონოლოგია

- * 1020 — დაბადება.
- * 1044 — აღმოსავლეთ ინგლისის გრაფი გახდა.
- * 1051 — განდევნეს მამამისთან ერთად.
- * 1052 — დაიპყრო ინგლისი.
- * 1053 — უესქსისა და კენტის გრაფი გახდა.
- * 1063 — დაიმორჩილა უელსი.
- * 1066 — 6 იანვარს ინგლისის მეფის გვირგვინი დაიდგა; მოკლეს 14 ოქტომბერს.

ბავშვობა

პაროლდი უესსქსისა და კენტის გრაფის, გოდვინის ვაჟი იყო, რომელიც ედუარდ აღმსარებლის დროს ინგლისში დიდი გავლენით სარგებლობდა. მამამისმა შეეცა თავისი ვაჟი აღმოსავლეთ ინგლისის მმართველად დაასმევინა, მაგრამ 1051 წელს გოდვინმა უარი განაცხადა ედუარდის ბრძანებით ქალაქ დოფერის დალაშქრებზე. გოდვინმა განდევნეს, მაგრამ მომდევნო წელს პაროლდის მეთაურობით დიდი ჯარით დაბრუნდა. სამოქალაქო ომით შეწყუბულმა ედუარდმა მამა-შვილს მიწები და ტიტულები დაუბრუნა. გოდვინმა შეეცა ჯარიდან ნორმანები დაიხიზინა. გოდვინი 1053 წელს გარდაიცვალა, გადმოცემით, მეფე ედუარდის სურვარზე დაიხიზნო. პაროლდმა მამისგან შემკვიდრებულად უესსქსისა და კენტის გრაფობა მიიღო და ედუარდის მარჯვენა ხელი გახდა. მან წოდებები თავის სამ

ჰაროლდ II ცნობილი იმით გახდა, რომ ჰასტინგის ბრძოლაში უილიამ დამპყრობელმა სძლია და თავლში გაუყარა ისარი, რისაც პაროლდი შეეწირა. მას მანამდეც ჰქონდა მოგებული ტილი ბრძოლები, — თითხმზეც წლით ადრე ინგლისი დაიპყრო, ჰასტინგის ბრძოლაზე სამიოდე კვირით ადრე კი ძვევამოსილ ვიკინგთა ჯარს სძლია სტამფორდ-ბრიჯთან.

მმას — ლეოფვანის, გირთსა და ტოსტისგაც შეუნარჩუნა.

ტოსტიცი ნორთუმბრიის გრაფი გახდა, პაროლდთან ერთად კი უელსი დაიმორჩილა. მაგრამ 1065 წელს ნორთუმბრიელები ტოსტიცივს სასტიკი მმართველობას აუჯანყდნენ. პოზიციის შეხანარჩუნებლად პაროლდი აჯანყებულებს დაემორჩილა და ტოსტიცი საგრაფოს ჩამოაშორა. ტოსტიცი ნორმანდიაში, პაროლდის დაუძინებელ მტრებთან გაემგზავრა.

მეამკვიდრეობის საპიიხი

სიკვდილის წინ მეფე ედუარდმა ტახტის მემკვიდრედ პაროლდი გამოაცხადა, ომუცა მანამდე თავისი ბიძაშვილისთვის იყო დაპირებული გვირგვინის. მისი ბიძაშვილი უილიამი ოცდახუთი წელი იქნებოდა, რაც ნორმანდიაში იყო დასახლებული. უილიამის მოთხოვნა უფრო იმანაც გააძლიერა, რომ პაროლდის ზომადლი ნორმანდის ნაპირებთან დაიმსხურა და ეს უკანასკნელიც, საუარუდოდ, იმულებით დაიანხმდა მას ტახტის დაიმობაზე. გარდა ამისა, ავლბათ, პაპისთვის მისი ფიცაც საკმარისი შეიქნა ტახტის მძღების მზიხით ინგლისში შეჭრის ნებართვის მისაღ-

ბად, რადგან ედუარდის გარდაცვალების შემდგომ მმართველობა ხელთ პაროლდმა იგდლო. გარდაცვალების მთორდღეს, 1066 წლის 6 იანვარს, როდესაც პაროლდმა გვირგვინი დაიდგა, შეიტყო, რომ არა მხოლოდ მტრულად განწყობილი უილიამი გამოიქცეადა ტახტზე პრეტენზიას, არამედ ნორვეგიის მეფე პარალდ III პარდრადიც, რომელსაც ტოსტიცი უჭერდა მხარს.

პაროლდმა თავისი ჯარი უილიამის შესადლო შემოჭრისთვის მოაზხადა, მაგრამ მის ფლოტს ტოსტიციის შეტევა უნდა აეცილებინა ნაპირზე. საბედნიეროდ, ქარმა უილიამში საფრანგეთში შეაკაო. რაკი საჭირო მარაგიც შემოაკლდა, პაროლდმა ფლოტი სექტემბრის დამდეგს დაითხოვა, თან იმედი ჰქონდა, წლეულს უმანდობის წყალობით საფრთხე მოსილდინელი არ იქნებოდა. ამისობაში ტოსტიცმა და პარდრადმა ძალები გააერთიანეს და ინგლისში შეიჭრნენ. პაროლდი ჩრდილოეთით გაიქრა და 25 სექტემბერს იორკთან ახლოს, სტამფორდ-ბრიჯთან მომხველური დაამარცხა.

ტოსტიციცა და პარდრადიც ბრძოლის ეულზე დაეცნენ.

სანამ პაროლდი იბრძოდა, ზღვრზე ქა-

პასტინგის ბრძოლას ინგლისისათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა



რი ჩადგა, რამაც უილიამს ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ლა-მანში სრუტის გადასაცურად. პაროლდი სამხრეთისკენ გაქანდა და ლონდონში 5 ოქტომბერს ჩავიდა, მაგრამ მისი მეომრები — დეიან-ცული, დამხმარები კი უწყრთიწელი და ცუდად აღჭურვილი იყვნენ.

ის უილიამს პირისპირ პასტენგისთან შეხვდა, 1066 წლის 14 ოქტომბერს. სასტიკი ბრძოლა მიუღ დღეს გაგრძელდა. ითიქოს პაროლდისკენ იხრებოდა ბუდის სასწორი, მაგრამ უეცრად ისარი მოხვდა თეულში, ერთხანს კიდევ იბრძოდა, მაგრამ ჭრილობისგან დასუსტებული ნორმანმა რაინდებმა აჩუქეს. მისი ძმები — გითი და ლოფუვანიც მტრის ხმალს შეწირნენ, ვერ გადარჩნენ ვერც მეფის ამაღლა და პირადი მკვლელები. წინააღმდეგობის გამწვევი რომ არაყინ დარჩა, უილიამს ბრძოლის მოკვება აღარ გასჭირვებია. მან სწრაფად მიაღწია ლონდონს და ეგვსტინ-სტერის საბატონოში შობას ინგლისის გვირგვინი დაიდგა თავზე.

პასტინგის ბრძოლა

● იორკის ადების შემდგომ, ტოსტიგმა და პარდრადმა სტამფორდ-ბარიჯთან ახლოს, მდინარე დერვეენტის ნაპირზე დასცეს ბანაკი. თუ პაროლდი სწრაფად შეკრებდა 2000-კაციან ჯარს, ლონდონიდან იორკამდე ორას მილს ზუთ დღეში გაივლიდა. ნორვეგიელები მდინარესთან გაიყვნენ. ზოგიერთს ჩრდილოეთიდან უნდა მიეცოდა და ზურგიდან შეეტია მტრისთვის. თუმცა ბევრი მათგანი წყალში შეჭარხ და დაახრჩვეს. ერთმა ნაჯახანამ ვიკინგმა ხიდი ერთხანს შეინარჩუნა, მაგრამ ნემსი მყოფმა ინგლისელმა ქვემოდან მსხვილი პკრა და განგმირა ქერა გოლიათი. მდინარე რომ გაღალავა, პაროლდმა ტოსტიგს კიდევ ერთი შანსი მისცა და მთუხმთი ვინაიერებისკენ, რაკი თავის რჩეულ ნორვეგიელებს ველარ გამოიხსნიდა ბრძოლის ქარცეხილიდან, ტოსტიგმა კითხია, რას შესთავაზებ პარდრადსო. პაროლდმა უპასუხა: „ექვსე უტრ ინგლისის მიწას ვთავაზობ, ან ცოტა მეტს, თუ სხვებზე უფრო მაღალია“. ამით მოლაპარაკება დასრულდა და ტოსტიგიცა და პარდრადიც ბრძოლის ველს დაუბრუნდნენ, სადაც დარჩნენ კიდევ საუკუნოდ. მისამუკლდელად გამოძახებული ნორვეგიული ფლოტიც განადგურდა.

● 1066 წლის 14 ოქტომბრის დღის ექვს საათზე, როდესაც უილიამი პასტინგის სიმაგრიდან გვიდა, პაროლდის ჯარი უკვე დაწყობილიყო თორმეტ

სამართველოს ისტორია ოთხ ტომად


უკველიანი დროიდან XX საუკუნამდე

იქონიე სამართველოს ისტორია შინს თაროზე!

ნიგნის ავტორები

მარიკა ლორთქიფანიძე, როინ ვიტრაველი ანდრია ავაშიკი, ღავით მუსხელიშვილი და სხვები.

ლომამაღ ილუბტრიონეზული, უნიკალური ფოტო მასალით



სასარსური გამოცემა

გამომცემლობა „პალიტრა L“

ფასი 59,99

იკითხეთ ნიგნის მალაზიხაში!!!

მწერად მთის მალღ თხემზე. ინგლისური ფლანგები დარტყვებით იყო დაცული, ზურგს კი ციცაბო ფერდობი უფარავდათ თხემის ძირას ჭაობნარი იყო. უილიამმა თავისი ჯარი წაბრიადაგანა ბილიკით გავზუნა თხემისკენ. დილის 09:30-ზე ნორმანი მოისარები წინა ხაზზე გამოედინენ და ისრები დაუშინეს მტერს. მათ ისრები ინგლისური ფარების კედელს შეუმსხრა. თავგამოდების მოუხდელად, მოისარებმა ბევრი თანამებრძოლი დაკარგეს. ბრძოლაში ჩაება ნორმანთა ქვეითი ჯარი, რომელიც ინგლისელთა ორღესულ ცულებს ემსხვერმბა. თხემზე აცოცება კავალრისტებმა ითავეს, მაგრამ უკან დაემუნენ. მათ ინგლისელები დაედევნენ, თუკა პაროლდმა ნორმანებმა უკან დახევა დაიწყეს. ხმა გერეკლდა, უილიამი დაიღუპაო, რამაც ნორმანები დააბნია, მაგ-

რამ მან თავისი ჩაფხუტი ასწია ყველას დასახაზად და ჯარი დააშოშინა.

● გამოქვეყლმა ნორმანებმა ბლომად ინგლისელი ჩამოიტყვეს ქვეითთა და საუფამგომო გააბეს. ამ ტაქტიკამ მათი რიგებიც დაეცოტრაჟა. საღამოსპირს უილიამი ფიქრობდა, ან დღეს მოუიებ, ან დარენებდებო. მთორღ დღეს პაროლდი დამხმარებს ელოდა. მან გადამწვევტ იერიშზე გადასულა ბრძანა. ამ დროს მოისარებმა ისროლეს და ინგლისელთა რიგები შეთხუელეს. ფარიანი ეღელი დამოკლდა, რამაც ნორმანებს ფლანგებიდან შემოვლის საშუალება მისცა. კიდევ ორი საათი დასტურდა მტერს პაროლდამდე გზის გასაკაფად და უკანასკნელი ინგლისელი მფვეც დაცეს.

მომამაღ ლეჰან ინასარიძემ

ყველაზე სწრაფსროლელი



M134D Minigun-ი – „სუხსლისფერკვეველი“ გვირგვინი, რომელიც ქართული არმიის შეიარაღებაშიც არის



ვის არ უნახავს მძაფრისუფერტიანი პოლველური ბლოკასტერი „მტაცებელი“, სადაც არილი შვარცენგერის გმირის თანამებრძოლი „ცეცხლისმფრქვეველი“ უცნაური ფორმის ტყვიამფრქვევით რამდენიმე ასულ ტყვიას ხუთიოდ წაში ისვრის და ჯუხგლებში ხუტბს სხეპს, თუმცა, ამაოდ, უცხოლანეტლი უნებელი რჩება.

თუ რამდენად შესაძლებელია ხელით ასეთი ტყვიამფრქვევის სროლა, სხვა ამბავია და პოლველურ ემპაობაზე „ჩვენს დღისეში“ წაიკითხო, მაგრამ ასეთივე სწრაფსროლელი ტყვიამფრქვევები რამდენიმე წელია, ქართული არმიის შეიარაღებაშიცაა.

ლაპარაკია M134D Minigun-ის ტიპის ექვსლულიან ტყვიამფრქვევებზე, რომელიც ქართულმა არმიამ პირველად 2009 წლის სექტემბრის დასაწყისში გამოამუყურა რუსთაველის პროსპექტზე, სადაც ხელისუფლებამ პიარაქცია, სახელწოდებით „ანგარიში ხალხს“ ჩაატარა. პარლამენტის წინ

2009 წლის 5 სექტემბერს სამხედრო აუციაციის წარმომადგენლებმა რუსთაველზე სხვა იარაღთან ერთად, „მინიგანიც“ გამოფინეს




ქართული „დიდგორები“ აღლუმზე და მათ კომპონენტებზე დაყენებული სწრაფმსროლელი „მინიგანები“


დაყენებული „მინიგანი“ მოქალაქეების ფურადღებას იქცევდა და ბევრი ცდილობდა მასთან ფოტოგრაფირებას.

საქართველოში აწვობილი „დიდგორის“ ტიპის ჯავშანმანქანების ერთერთი მოდიფიკაციის კომპონენტებზე დაყენებულმა „მინიგანებმა“ რუსთაველის პროსპექტზე შეორედ 2011 წლის 26 მაისის აღლუმზე „ჩაისეირნეს“.

უფრო ადრე კი „მინიგანის“ ნახვა იმ მსურველებს შეეძლოთ, ვინც ალექსევიის სამხედრო-საკაირო ბაზაში „ღია კარის“ დღეს (2010 წლის 19



ჩვენი ღონისძიება: სწრაფმსროლა ნიშნავს იარაღის უნარს დროის ერთეულში განსაზღვრული რაოდენობის ტყვია გაისროლოს. სწრაფმსროლა სამი სახისაა. საბრძოლო სწრაფმსროლა — წუთში გასროლების რაოდენობა, რომელიც თორიულად შეიძლება დამინებისა და გადატენის ოპერაციების გათვალისწინებით განხორციელდეს. ტექნიკური სწრაფმსროლა — დამინებისა და გადატენის ოპერაციების გათვალისწინების გარეშე წუთში გასროლილი ტყვიების რაოდენობა. სროლის ტემპი — ავტომატური იარაღის ავტომატურ რეჟიმში ტექნიკური სწრაფმსროლა. მაგალითად, თუკი „კალამნიკოვის“ სროლის ტემპი 600 გასროლა/წთ-ში, მაშინ 30-გაზანიანი მჭიდი ავტომატურ რეჟიმში სროლის 3 წმ-ში დაიხარჯება. თუკი დაზგაზე დამაგრებული ტყვიამფრქვევის ტექნიკური სწრაფმსროლა 600-1500 გასროლა/წთ-ში, საბრძოლო სწრაფმსროლის მაჩვენებელი, შესაბამისად, 150-300 გასროლა/წთ-ში იქნება.



სექტემბერს, აქ უკვე გაუქმებული სამხედრო-საპერო ძალების დაბადების დღეს) იქ გამოფენილ სამხედრო ტექნიკას გაეცნო. ერთ-ერთ მი-8MT ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შეუღლებფერნის კარგში მაშინ ახალი ნაყიდი „მინიგანი“ იყო დამონტაჟებული.

მანც რას წარმოადგენს „მინიგა-

ნი“ და რითი გამოიჩევა ის სხვა ტყვიამფრქვევებისგან, რომ ამდენ ვურადღებებს იმსახურებს? M134D Minigun-ი არის მსოფლიოში ყველაზე სწრაფმსროლელი სერიული წარმოების ტყვიამფრქვევი და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი სწრაფმსროლელი ტყვიამფრქვევი გერმანული MG42-ი იყო, რომლის სროლის ტემპი წუთში 1200-1500 გასროლას შეადგენდა. ეს მონაცემები

ნახივო ღოსიმი: სახელწოდება „გატლინგის ტყვიამფრქვევი“ მე-19 საუკუნიდან მოდის. 1862 წელს ამერიკელმა ინჟინერმა, დოქტორმა რაჩარდ გვირდანი გატლინგმა დააბადენტა მრავალფოლიანი სწრაფმსროლელი იარაღი. მის ტყვიამფრქვევში ლულები 360 გრადუსით (მათ მსროლელი ხელის ბერკეტით აბრუნებდა) ბრუნდენ და ყოველი ახალი გასროლა მორიგი ლულიდან ხდება, შესაბამისად, ლულების გადახურება გამოირცხულია, რადგან ერთი წრის შემოვლისას ლულა ასწრებს გაციფებას.

სიმათილე ითქვას, გატლინგის ნოუ ჰაუ არც ლულების ბრუნვა იყო (რადგან ასეთი სისტემა უკვე გამოყენებული იყო რევოლვერების დოლუმში) და არც ბვერი ლულა (მანამდე ფრანგებს ჰქონდათ მრავალფოლიანი მიტრალეზები). გატლინგმა თავის ტყვიამფრქვევს ზემოდან დაამარაგ ბუნკერი, რომელშიც ვაზნები იყო ჩაყრილი. ყოველი ლულის გადატრიალებისას ბუნკერიდან ერთი ვაზნა მიწიფლოლის ძალის გამო თავად ვარდებოდა სავაზნეში, ხოლო გასროლის შემდეგ ისე მიწიფლოლის ძალით გასროლილი ვაზნის მასრა ქვემოთ, მიწაზე ეცემოდა.

„გატლინგის ტყვიამფრქვევი“ პირველად აშშ-ის სამოქალაქო ომში ჩრდილოეთის არმიამ გამოიყენა. მრავალფოლიანი ტყვიამფრქვევის სროლის ტემპი იმ დროისთვის ფანტასტიკურ მაჩვენებელს — წუთში 700-1000 გასროლას აღწევდა, თანაც, არც ერთი ლულა არ ხუნდებოდა, რადგან თითოეული ლულა დაახლოებით 200 ტყვიას თუ ისროდა, თანაც, ხელით ტრაილისას ლულების ბლოკი გაციფებასაც ასწრებდა.



ამერიკაში მოღვაწე ქართველმა კონსტრუქტორმა ალექსანდრე ქართველიშვილმა თავის მიიერში A-10A-ს ცხვირში გატლინგის სემპის 30 მმ-იანი შეიფდლულიანი ქვემუხი GAU-8A დაუყენა



სარაკეტო კატარდა „თბილისი“
კინოზე ექვსლულიანი 30 მმ-იანი
ავტომატური ტყვიები ვენა



მი-24В ტიპის შვეულმფრენის
ცხვირში დამონტაჟებული
ოთხლულიანი ტყვიამფრეველი
ჩკნ-12,7-ი

ჩვენი დროსი: „მინიგანების“ შექმნამდე ქართული არმიის შეიარაღებაში გატლინგის პრინციპით დამზადებული ორი სახის იარაღი იყო. ერთ დროს, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ფლაგმან სარაკეტო კატარდა „თბილისზე“ დამონტაჟებული იყო ექვსლულიანი 30 მმ-იანი კალიბრის ავტომატური საზომალდე საარტილერიო დანადგარი AK-630. მისი სროლის ტემპი წუთში 4000-5000 გასროლას აღწევდა და საპაერო სამიზნის დაზიანება — 4, ხოლო საზღვაოსი კი 5 კმ სიშორეზე შეეძლო. აგვისტოს ომის დროს „თბილისი“ ფოთის პორტშივე აგვიფიქსეს და ჩავვიბირეს. მოგვიანებით მისი ფრაგმენტები ამოღებულ იქნა, ისევე როგორც AK-630, თუმცა უცნობია მისი ბედი, ალდგინეს თუ ჯაროში ჩააბარეს. გატლინგის პრინციპით მოქმედი შიორე ტიპის იარაღი აგვისტოს ომშიც გამოიყენეს. ლაბარაკია ქართული MI-24B ტიპის დამრტემელ შვეულმფრენებზე დაყენებულ ოთხლულიან, 12,7 მმ კალიბრიან ჩკნ-12,7 ტიპის საავიაციო ტყვიამფრეველებზე.

დღესაც შიამბეჭდავია, რადგან საბჭოთა PKM-ის სროლის ტემპი მხოლოდ 650 გასროლა /წთ-ში, ხოლო ამერიკული M240-ისა კი 650-950. ძალზე მაღალი სწრაფსროლა შეიძლება ავტომატისთვის არც ისე მომგებანი იყოს, რადგან სროლისას ის ხელში უკავიათ და სროლის მაღალი

ტემპი ამცირებს სროლის სიზუსტეს, რადგან იარაღი ხელში ხტის. მიწაზე ან სპეციალურ სადგამზე მყარად დაფიქსირებულ ტყვიამფრეველებზე კი შედარებით ნაკლებად მოქმედებს უკუცემის იმპულსი და მიზანში სროლის სიზუსტის შენარჩუნება მსროლელების უფრო ადვილია.

თუმცა, ყველაფერს აქვს საზღვარი, რადგან წუთში 1500 და მით უმეტეს, უფრო მეტი ტყვიის გასროლის შემდეგ ლულა გადასავლები გახდება, რადგან ტემპერატურის შეყვარად გაზრდის გამო ლითონი დეფორმირდება.

ჩვენი დღისი: მძაფრისუფე-ტიან ბლოკბასტერში „მტაცებელი“ პოლიფუდელმა რეჟისორებმა მილიონობით მაყურებელი გაა-აცურეს, — აჩვენეს, თუ როგორ ისროდა ხელით შვარცნეფერის გმირის თანამებრძოლი „მინი-განს“.

მართალია, ფილმში გამოყენებული არა 7,62 მმ კალიბრისანი M134, არამედ მისი „კუმცროსი ძმა“ — 5,56 მმ-იანი XM214, მაგრამ მისი სწრაფსროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალა მაინც ძალზე მნიშვნელოვანია. თანაც, მებრძოლმა თან უნდა ათრიოს ტყვიამფრქვევის ელექტროძრავის ასამუშავებლად საჭირო აკუმულატორი.

ფილმში ტყვიამფრქვევის ელექტროძრავის შუშაობა სადენის საშუალებით ხორციელდებოდა. სადენი მსროლელის შარვის ქვეშ გადიოდა, რათა მაყურებელს არ დაენახა, როგორ უერთდებოდა კადრს მიღმა შდგარ აკუმულატორებს. ამასთან, ფუჭ ვაზნებს ისროდნენ, ხოლო მსროლელს ჯავშანთილვტი ეცვა, რომ ექსტრადირებულ მასრებს არ დაეშავებინა.

ქართულ Mi-8MT ტიპის შვეულმფრენებზე დამონტაჟებული „მინიგანის“ ტყვიამფრქვევი

ინტერნეტში გამოჩნდა ინგლისურენოვანი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია, რომ 2008 წლის მაისში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ამერიკულ მხარეს სთხოვა 20 ცალი M134D Minigun-ისა და სათადარიგო დეტალების 20 კომპლექტის შექმნაზე თანხმობა, რისთვისაც ქართული მხარე 1 მილიონი აშშ დოლარის გადახდას აპირებდა





ჩინგილო დღის 7,62 მმ კალიბრის ექვსკუთხედიანი ტყვიამფრქვევი M134D Minigun-ი დაახლოებით 30 კგ ს იწონის ელექტროძრავისა და ვანების მიმრეგული შექანაზმის სათავეთი ტყვიამფრქვევის სიგრძე 801 მმ-ია, ლულების სიგრძე კი 559 მმ. სროლის ტემპი 3000-4000 გასროლა/წთ-ში.

„მინიგანში“ გამოყენებულია მუდმივი დენის ელექტროძრავის მიერ შექანაზების ამოქმედების პრინციპი: ელექტროძრავა 24-28 ვოლტის ძაბვზე მუშაობს და 60 ამპერის მთიხმარს. ელექტროძრავა აბრუნებს ექვსი ლულისგან შემდგარ ბლოკს.

სროლის ციკლი შემდგარი: ლულაში ვანა მბრუნავი ბლოკის ზედა წერტილში იგზავნება და როდესაც ეს ლულა ქვედა წერტილში მიაღწევს, ვანა მთლიანად უკვე ლულაშია და საკვტი ჩაკეტილია, რის შემდეგაც ხდება გასროლა. ლულა აგრძელებს წრეზე ბრუნვას და სანამ ისევ ზედა წერტილს მიაღწევს, ესწრება გასროლილი ვანის მახრის ექსტრაქცია.

ტყვიამფრქვევს ვანებით ამარაგებს სპეციალური მიმრეგული, რომელიც ვანების ყუთიანა შეერთებული. ვანების ყუთებში შეიძლება ჩაეტოვოს 1500-დან (სრული მასა 58 კგ-ი) 4500-მდე (134 კგ-ი) ვანა. მძივი შეუკლამურე „ჩინგოებზე“ ერთი „მინიგანის“ შეკვები ვანების ყუთის ტყვიადობა შეაძლება 10 ათას ვანისაღაც მიაღწიოს.

„მინიგანში“ გატლინგის პრინციპია გამოყენებული. ბლოკში ექვსი ლულაა გაერთიანებული. გასროლა ქვედა ლულის პოზიციიდან ხდება. ლულები წრეზე ბრუნვებ და ასწრებენ გაცდევას, ამიტომაც „მინიგანის“ სროლის ტემპი 3-4 ათასი გასროლა წთში.

ასეთი მაღალი სწრაფსროლის უნარის მქონე იარაღის შექმნის აუცილებლობა აშშ-ის არმიას ვიეტნამის ომში გაუჩნდა. მანამდე ცნობილ ამერიკულ კომპანია General Electric-ის 6-ლულიანი 20 მმ-იანი კალიბრის ქვეითი M61 Vulcan-ი პქონდა. მათ თვითმფრინავებზე აყენებდნენ. რეაქტიული თვითმფრინავების სიჩქარე 2-3-ჯერ აღემატებოდა შეორე მსოფლიო ომის დროინდელი გამანადგურებლების სიჩქარეს და ელვისებრი საჰაერო ბრძოლებსთვის უფრო სწრაფსროლი იარაღი იყო საჭირო.

20 მმ-იანი ქვეითისგან 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევის დამზადება შედარებით ადვილი იყო და უკვე 1964 წლიდან ამერიკული არმია ექვსკუთხედიანი სწრაფსროლელ ტყვიამფრქვევს ვიეტნამის ჯუჯგლებში იყენებდა.

ამერიკული არმიის შეიარაღებაში მიღებულ Minigun-ებს M134 ჯწდა, ხოლო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალების არსენალში გამოჩინებებს კი GAU-2/A. უკვე 1971 წელს აშშ-ის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში 10 ათასზე მეტი „მინიგანი“ იყო და უმეტესობა ვიეტნამის ჯუჯგლებში

მფრენი „იროკუზების“ ბორტებზე იყო დამონტაჟებული.

ვიეტნამის ომის შემდგომ ამერიკულმა სამხედროებმა „მინიგანები“ მიიწვეს და მათი სერიული წარმოება შეწყდა, შეიძლება იმითმაც, რომ ეს სწრაფსროლი ტყვიამფრქვევები ბევრ ვანას ხარჯაყდნენ.

„ცევი ომის“ დამთავრებისა და მცირემასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტების განხორციელების გამო პენტაგონმა ისევ გაისუნა სწრაფსროლი „მინიგანი“. ამერიკულმა კომპანია Dillon Aero-მ დიკენზიის დაიწყო „მინიგანის“ მოდერნიზებული ვარიანტის — M134D-ის გამოშვება.

ახალი ტყვიამფრქვევები დაყენებულია ავღანეთში მებრძოლი ამერიკული საბრძოლო დანაყოფების ჯიჯებსა და შეუკლამურებზე, ასევე საზღვაო ზომილებზე ტერორისტებისა და მკობრების მოსაკვრიებლად.


„მინიგანის“ დაყენება ქართული „დიდორების“ რეკორტებზე, რა თქმაუნდა, გაზრდის მათ საბრძოლო შესაძლებლობებს, მაგრამ გასათვალისწინებელია ვანების ხარჯვის მაღალი მარეწებელი, თანაც „მინიგანისთვის“ საჭირო NATO-ის სტანდარტის 7,62X51 მმ კალიბრის ვანები ქართული არმიის არსენალში არცთუ ისე ბევრია, განსხვავებით 5,56 მმ კალიბრის ვანებისა, რომლებიც M4 ტიპის ავტომატური კარაბინებისთვის არის განკუთვნილი.

ირაკლი ალადაშვილი



1-50

F1557
2012
საქართველოს
საინჟინრო-ტექნიკური
საზოგადოებრივი უნივერსიტეტი



M134D MINIGUN



საინჟინრო-ტექნიკური
საზოგადოებრივი უნივერსიტეტი